ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5028903

ნომერი: AR1758987

თარიღი : 06.07.2020

გაცემის თარიღი : 30.07.2020

გაცნობის თარიღი : 30.07.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, N 62;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აჰმეთ აქისქალი პ/ნ 01901135596
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 45 ბლოკი ბ ბ. 23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 29 მაისის №3986976 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 6 ივლისს №AR1758987 განცხადებით მომართა აჰმეთ აქისქალმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 29 მაისის №3986976 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 21 აგვისტოს №01/1135 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, №01.72.14.034.318 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო შენობის არქიტექტურული პროექტი ფასადების გარეშე, მათი შემდგომი გადამუშავებისა და დამატებით განხილვისთვის წარმოდგენის პირობით. ხოლო, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 24 სექტემბრის №ნ/1436 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2008 წლის 30 სექტემბრიდან 2010 წლის 30 სექტემბრამდე (სანებართვო მოწმობა №ნ/1436-1). ამასთან, სამსახურის 2009 წლის 9 მარტის №01/219 ბრძანებით შეთანხმდა სავაჭრო-საყოფაცხოვრებო შენობის ფასადების არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2018 წლის 29 მაისის №3986976 ბრძანებით, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 29 მაისიდან 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

სამსახურის 2020 წლის 22 ივლისის №5035270 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2008 წლის 21 აგვისტოს №01/1135 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

სამსახურის 2018 წლის 29 მაისის №3986976 ბრძანების გაცემის დროს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენდა - ივანე მახარაშვილი. შპს „სენა“ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ფიქსირდება 2018 წლის 8 ივნისის ამონაწერის შემდეგ. წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს დამკვეთის ცვლილებას, კერძოდ, დამკვეთად შპს „სენა“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406180458) დაფიქსირებას.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882020387305, მომზადების თარიღი: 06/07/2020 წ.) ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი №62-ში, №01.72.14.034.318 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „სენა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406180458). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №B18079675, მომზადების თარიღი: 26/07/2018 წ.) მიხედვით შპს „სენა“-ს დირექტორს წარმოადგენს გუნაი გულფიდან, ხოლო მის მიერ 2019 წლის 5 ნოემბერს გაცემული №191350746 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის როგორც შპს „სენა“-ს წარმომადგენლის უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნული ამონაწერითვე ირკვევა, რომ საპროექტო ობიექტზე რეგისტრირებულია აღნაგობის უფლება შპს „გაზ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404534937) სასარგებლოდ, ხოლო მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №B17039701, მომზადების თარიღი: 04/04/2017 წ.) მიხედვით შპს „გაზ გრუპი“-ს დირექტორს წარმოადგენს აჰმეთ აქისქალი (პ/ნ: 01901135596), რომლის 2020 წლის 16 ივლისის განცხადებით ირკვევა, რომ იგი, როგორც შპს „გაზ გრუპი“-ს დირექტორი თანახმაა სამსახურის 2018 წლის 29 მაისის №3986976 ბრძანებაში დაკვეთად დაფიქსირდეს შპს „სენა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406180458).

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში და დამკვეთად დააფიქსიროს შპს „სენა“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 406180458).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 29 მაისის №3986976 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „სენა“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 406180458).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 29 მაისის №3986976 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 29 მაისის №3986976 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში